საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2786/01
22/03/2022

2786-01-2-202203221333

შპს „ართანა ლოპოტას“
მის:ქ. თბილისი, მთავარანგელოზის ქუჩა №30
ელ. ფოსტა: hsabouri@dekahydro.com

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №2868 განცხადება, რომელიც ეხება თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლაფანყურის მიმდებარედ მდ. ლოპოტაზე 5.9 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ლოპოტა 1 ჰესის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, „ხმაურის გავრცელებით და ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედების“ თავში მითითებულია, რომ სამშენებლო ბანაკის მოწყობის სამუშაოები გაგრძელდება 3 თვის განმავლობაში, ხოლო „ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედების“ თავში სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობად მითითებულია 120 კალენდარული დღე. შესაბამისად, საპროექტო სამშენებლო ბანაკის მოწყობის სამუშაოების ხანგრძლივობა საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, სამშენებლო ბანაკის ფართობი შეადგენს 2 714 $მ^2$-ს, რაც არ ემთხვევა Shp ფაილებით წარმოდგენილ ფართობს (6 354 $მ^2$), შესაბამისად, საპროექტო სამშენებლო ბანაკის ფართობი საჭიროებს დაზუსტებას;
- წარმოდგენილი დოკუმენტის 2.4 თავში „წყალმომარაგება, სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის საკითხი“ მითითებულია, რომ სამშენებლო ბანაკის ტექნიკური წყლით მომარაგება პერიოდულად მოხდება სოფ. ველისციხის წყალმომარაგების ქსელიდან, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. დაზუსტებას საჭიროებს გამოსაყენებელი ტექნიკური წყლის რაოდენობა და გამოყენების შემდეგ ჩამდინარე წყლის მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს სანიაღვრე წყლების შემკრები რეზერვუარის პარამეტრები. ამასთან, საპროექტო სამშენებლო ბანაკის გენგეგმაზე

დატანილი უნდა იყოს სამშენებლო ბანაკის ყველა ინფრასტრუქტურული ერთეული, მათ შორის, სანიაღვრე წყლების შემკრები რეზერვუარი;

- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან 465 მეტრში მდებარეობს „ტორნისის ღვთისმშობლის ტაძარი“, 650 მეტრში - „დევისხვრელის ეკლესია“, ხოლო 1,4 კმ-ში - გადაჭრილი კლდე. სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედების საკითხი შეთანხმებულია სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან. თუმცა, წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნული შეთანხმება არ ეხება ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, კერძოდ, სამშენებლო ბანაკის მოწყობასა და ექსპლუატაციას. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში მითითებული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას. ამასთან, დოკუმენტში განხილული და შეფასებული არ არის სამშენებლო ბანაკის მოწყობისა და ექსპლუატაციის შედეგად, ზემოაღნიშნულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე